




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 101



2016 წლის 27 ოქტომბერი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან ქალაქ ხაშურის №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებისათვის სესხისა და გრანტის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მუნიციპალური განვითარების ფონდის 2016 წლის 20 ოქტომბრის №2794-გ წერილის და გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის 2016 წლის 20 ოქტომბრის №3411/07 მოხსენებით ბარათის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების (სავარაუდო ღირებულება 906,300 ლარი) განხორციელების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს კრედიტუნარიან თვითმმართველ თემს. შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი პირობებით: ფონდი გრანტის სახით დააფინანსებს ქვეპროექტის ღირებულების 30% (271,890.00 ლარი), ხოლო 50% (453,150.00 ლარი) გადასცემს მუნიციპალიტეტს კრედიტის სახით, ასევე მუნიციპალიტეტი ვალდებულებას აიღებს თანამონაწილეობის სახით დააფინანსოს ქვეპროექტის ღირებულების 20% (181,260.00 ლარი). აღნიშნული, კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის №7 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების (სავარაუდო ღირებულება 906,300 ლარი) დაფინანსებისთვის მუნიციპალური განვითარების ფონდისგან სესხისა და გრანტის მიღების თაობაზე შემდეგი პირობებით: ფონდი გრანტის სახით დააფინანსებს ქვეპროექტის ღირებულების 30% (271,890.00 ლარი), ხოლო 50 % (453,150.00 ლარი) გადასცემს მუნიციპალიტეტს კრედიტის სახით (სესხის დაფარვის ვადა 10 წელი; შეღავათიანი პერიოდი არაუმეტეს 18 თვე; სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 11%), ასევე მუნიციპალიტეტი ვალდებულებას აიღებს თანამონაწილეობის სახით დააფინანსოს ქვეპროექტის ღირებულების 20% (181,260.00 ლარი).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე